ქვექირავნობის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 2015 წლის 15 აპრილი

მხარეებისა და გარიგების საგნის შესახებ

მუხლი 1. მხარეებისა და ტერმინების შესახებ

1. წინამდებარე გარიგების მხარეები არიან:
   ა) ბანკი - სს "პროკრედიტ ბანკი";
   მდებარე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №21
   მარეგისტრირებელი ორგანო: ვაკის რაიონის სასამართლო
   რეგისტრაციის ნომერი: 5/5-84
   საგადასახადო კოდი 204851197
   წარმომადგენლობა: სოფიო კორძახიას (პირადი N 01008022693) და ქეთევან ხუსკივაძის (პირადი № 01019006029) სახით;
   ბ) ქვეგამქირავებელი – სს „ფუდმარტი", ს.კ. 404460187, წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო მამისაშვილის (პირადი № 01023009064) სახით

2. წინამდებარე აქტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

   ა) **ქვექირავნობის საგანი**: - ქ. თბილისი, 26 მაისის სახელობის მოედანი №1 (ნაკვეთი 33/110), საკადასტრო კოდი: 01.10.13.033.110.
   საჯარო რესტრის მონაცემები: ზონა თბილისი, სექტორი საბურთალო 10, კვარტალი 13, ნაკვეთი 033/110, მესაკუთრე: შპს „ფროფერთი", საკუთრების ტიპი: საკუთრება, არასაცხოვრებელი ფართი, სართული 1, ფართი 520,69 კვ.მ.-დან 2 კვ.მ.
   ყადაღა, იპოთეკა, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა და რაიმე სახის ვალდებულება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის;
   ბ) ქვექირავნობის ღირებულება - ფულადი თანხა, რომელსაც წინამდებარე აქტით დადგენილი ოდენობითა და წესით ბანკი უხდის ქვეგამქირავებელს ქვექირავნობის საგნით სარგებლობის სანაცვლოდ;
   გ) მხარე – ქვეგამქირავებელი ან ბანკი/ქვედამქირავებელი კონტექსტის შესაბამისად;
   დ) მხარეები – ქვეგამქირავებელი და ბანკი ერთდროულად
   ე) მესამე პირი - ნებისმიერი იურიდიული ან ფიზიკური პირი, მხარეების გარდა;
3. წინამდებარე აქტში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი მნიშვნელობა;

მუხლი 2. გარიგების საგანი

1. გარიგების საგანია ქვეგამქირავებელის ვალდებულება 2016 წლის მარტის თვის ჩათვლით ბანკს სარგებლობის უფლებით, ქვექირავნობით გადასცეს ქ. თბილისში, 26 მაისის სახელობის მოედანი №1 (ნაკვეთი 33/110, საკადასტრო კოდი: 01.10.13.033.110) მდებარე 2 კვ.მ. ფართი; ქირავნობის საგნის ადგილმდებარეობა მოცემულია დანართ ფოტომონტაჟზე და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების გაუყოფელ ნაწილს.
2. ხელშეკრულების საგნის გადაცემასთან დაკავშირებით მხარეთა შორის შედგება მიღება-ჩაბარების აქტი.

მუხლი 3. ქირავნობის საგნით სარგებლობის მიზნების შესახებ

1. ბანკის მხრიდან ქირავნობის საგნით სარგებლობის მიზანია სს "პროკრედიტ ბანკის" ბანკომატის ფუნქციონირება.
2. ხელშეკრულების საფუძველზე ქვეგამქირავებელი/მესაკუთრე თანახმაა, ბანკმა საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ქირავნობის საგანი მიმდინარე და სარეკონსტრუქციო სახის სარემონტო სამუშაოების ჩატარება _ქვეგამქირავებელთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.__სარემონტო სამუშაოებისთვის საჭირო ყველა სახის ლიცენზიებსა და ნებართვებს მოიპოვებს ბანკი.
3. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ქვეგამქირავებელი/მესაკუთრე თანახმაა ბანკმა საკუთარი ხარჯებით განათავსოს შენობაზე ბანკომატის მანიშნებელი რეკლამები ქვეგამქირავებელთან/ან მესაკუთრესთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, წარმოდგენილი ფოტომონტაჟის შესაბამისად.

ნაწილი II.
ქირავნობის საგნის უფლებრივი და ნივთობრივი უნაკლოების შესახებ

მუხლი 4. უფლებრივად უნაკლო ქირავნობის საგნის გადაცემის შესახებ

1. ქვეგამქირავებლის განცხადებით ქირავნობის საგანი სარგებლობის უფლებით ეკუთვნის მას და ამ ნივთის ქვექირავნობით გადაცემის უფლება დამატებით არ საჭიროებს მესაკუთრის თანხმობას.
2. ქვეგამქირავებელის განცხადებით:
   ა) არ არსებობს მესამე პირი, რომელსაც წინამდებარე აქტის მოქმედების ფარგლებში შეიძლება ჰქონდეს რაიმე სამართლებრივად დასაბუთებული პრეტენზია ქირავნობის საგნის მიმართ, თუ არ ჩავთლით საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ ყადაღას.
   ბ) არ არის აღძრული სარჩელი მესამე პირის მიერ ქირავნობის საგანზე საკუთრების ან სხვა (მფლობელობის, სარგებლობის) უფლების მოპოვების მოთხოვნით;

15.04.15

3. ქვეგამქირავებლის განცხადებით, მარტივი წერილობითი ან ზეპირი გარიგებით, დანართზე წარმოდგენილი ქირავნობის საგანი არ არის გადაცემული მესამე პირისათვის სარგებლობის (ქირავნობის, იჯარის ან სხვა მსგავსი ხასიათის) უფლებით;

მუხლი 5. ნივთობრივად უნაკლო ქირავნობის საგნის გადაცემის შესახებ

1. ქვეგამქირავებლის განცხადებით:
   ა) ქირანობის საგანს არ აქვს ისეთი დაფარული ნაკლი, რისი არსებობაც შეამცირებდა ქირავნობის საგნის ღირებულებას, ან ხელს შეუშლიდა ქირანობის საგნის დანიშნულებისამებრ გამოყენებას;
   ასევე სრულად გააცნო ბანკს ქირავნობის საგნის მდგომარეობა გადაცემის მომენტისათვის, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების შესახებ) შესახებ.

3. ბანკის განცხადებით:
   ა) მისთვის ცნობილია ქირავნობის საგნის მდგომარეობა და მისაღებია ქირავნობის საგნის ხარისხი, იმ სახით, რა სახითაც ქირავნობის საგანი არსებობს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისას.

ნაწილი III.

ქვექირავნობის ღირებულების ანაზღაურების შესახებ

მუხლი 6. ქვექირავნობის ღირებულება

1. ქვექირავნობის ღირებულება ყოველთვიურად განისაზღვრება **500 ლარის ოდენობით** ყველა ხარჯებისა და გადასახადის (მათ შორის დღგ-ს ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ჩათვლით.
2. ქვექირავნობით მიღებული ქონებით სარგებლობისათვის ბანკი ყოველთვიურად, იხდის ქირას, უნაღდო ანგარიშსწორების წესით ქვეგამქირავებლის ანგარიშზე:
   სს „საქართველოს ბანკი'', ბანკის კოდი: BAGAGE22, ანგარიშის ნომერი: GE69BG0000000498885700
3. ქირის ოდენობაში შედის როგორც ქვექირავნობის საგნის გამოყენებისათვის განსაზღვრული საზღაური, ასევე ბანკომატის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი.
4. ქირის გადახდა უნდა მოხდეს გადახდის დღისთვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად ეროვნულ ვალუტაში.
5. ქირის ღირებულების დაანგარიშება დაიწყება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 7. ქვექირავნობის ღირებულების გადახდის წესების შესახებ

1. ქირის გადახდა იწარმოება არაუგვიანეს ყოველი საანგარიშო თვის 15 რიცხვისა.

მუხლი 8. ქირის შეცვლის საფუძვლები და პირობები

8.1 მხარეთა შეთანხმებით, წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან ქირა რჩება უცვლელი ამ ხელშეკრულების ვადის ბოლომდე და არ ექვემდებარება გადახედვას.

ნაწილი IV.

მხარეთა უფლება-მოვალეობანი და ქირავნობის საგნის მოვლის ვალდებულებათა შესახებ

მუხლი 9. ბანკის საერთო ვალდებულებანი

1. გადაიხადოს ქირა წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 და მე-7 მუხლით დადგენილი წესით.
2. გაუფრთხილდეს ქირავნობის საგანს და უზრუნველყოს მისი მოვლა-პატრონობა.
3. ქვედამქირავებელმა წინასწარი შეთანხმების გარეშე არ მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საქმიანობის მიმართულების შეცვლა ან გაქირავებული ფართის გადაცემა მესამე პირებზე.

მუხლი 10. ქვეგამქირავებელის საერთო ვალდებულებანი

1. გადასცეს ბანკს ნივთობრივად უნაკლო ქვექირავნობის საგანი, თუმცა ბანკი ინფორმირებულია დღეის მდგომარეობით ქირავნობის საგნის დაყადაღების შესახებ.
2. გაუწიოს ბანკს საკონსულტაციო და ყველა სხვა სახის დახმარება ქირავნობის საგნის ქონების ეფექტურად გამოყენებისათვის.
3. ქვემგამქირავებელი ვალდებულია სამუშაო პერიოდში ქვედამქირავებელის უფლებამოსილი წარმომადგენელი შეუფერხებლად დაუშვას დაქირავებულ ფართში, მისცეს საშუალება ბანკს, შეუფერხებლად ისარგებლოს ქირავნობის საგნით; თავისი მიზეზით არ დაუშვას ბანკის მიერ ფართით სარგებლობის უფლების შეზღუდვა.
4. ქვეგამქირავებელი ვალდებულია შეტყობისთანავე, დაუყოვნებლივ აცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს და ბანკს ქვექირავნობის საგნის (ბანკომატის) მართლსაწინააღმდეგო მოხმარების (დაზიანება, გატეხვა) შესახებ.
5. მხარეები ვალდებულნი არიან, მიიღონ ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. მხარეები უზრუნველყოფენ საერთაშორისოდ აღიარებული უსაფრთხოების სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად ინფორმაციის შენახვას და გაცვლას დაცული საკომუნიკაციო არხის მეშვეობით.

6. მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ თანამშრომლობის პროცესში მათთვის შესაძლოა ხელმისაწვდომი გახდეს საბანკო და კომერციული საიდუმლოების, ასევე პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია, ან/და ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი (შემდგომში "ინფორმაცია") ზეპირად, წერილობით, გამოსახულებით, ან მედია საშუალებით. აქედან გამომდინარე ბანკი ("ინფორმაციის გამცემი მხარე") და კონტრაჰენტი ("ინფორმაციის მიმღები მხარე") თანხმდებიან შემდეგზე:

1.1. ინფორმაციის კონფიდენციალურობა მკაცრად იქნება დაცული (როგორც ამ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ასევე მისი შეწყვეტის/დასრულების შემდეგ) და არ გამჟღავნდება პირდაპირი, ან არაპირდაპირი გზით მესამე მხარეზე. ამასთან, არ მოხდება ინფორმაციის გამოყენება ინფორმაციის გამცემი მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

1.2. ინფორმაციაზე წვდომა დაიშვება მხოლოდ ინფორმაციის მიმღები მხარის იმ თანამშრომლებზე, რომლებიც ახორციელებენ მხარეთა მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს, და რომელთაც ინფორმაციის მიმღები მხარის მიმართ აქვთ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება. ინფორმაციაზე წვდომა/დამუშავება და მისით სარგებლობის უფლება დაიშვება მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისთვის.

1.3. გამოკითხვის/კონსულტაციის ჩატარების შემთხვევაში (ასეთის არსებობისას), მისი შედეგების გამჟღავნება მოხდება მხოლოდ შეჯამებული სახით, რომ მონაცემები კონკრეტულად ინფორმაციის გამცემ მხარეს არ მიეწერებოდეს.

1.4. ინფორმაციის გამცემი მხარის მოთხოვნისთანავე, ყველა მასალა, რომელიც შეიცავს, ან ასახავს ზემოთ აღნიშნულ ინფორმაციას უნდა დაბრუნდეს ან განადგურდეს.

1.5. არც ერთი წინამდებარე პირობა არ უნდა იყოს აღქმული და ინტერპრეტირებული მხარეთა მიერ ერთმანეთის წარმომადგენლობითი, დამსაქმებელ/დასაქმებულის, ან პარტნიორული უფლების საფუძვლად და არ უნდა წარედგინოს მესამე მხარეს ასეთად.

1.6. ინფორმაციის დამუშავებისას მხარეები ვალდებულნი არიან, დაიცვან საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.

1.7. მხარეები ვალდებულნი არიან, მიიღონ ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. მხარეები უზრუნველყოფენ საერთაშორისოდ აღიარებული უსაფრთხოების სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად ინფორმაციის შენახვას და გაცვლას დაცული საკომუნიკაციო არხის მეშვეობით.

1.8. წინამდებარე კონფიდენციალურობის დაცვის პირობების განზრახ დარღვევის შემთხვევაში, ბრალეული მხარე პასუხს აგებს მეორე მხარისათვის მიყენებულ ყველა სახის ზიანზე.

მუხლი 11. პირგასამტეხლო

1. ბანკის მიერ მე-9 მუხლში აღნიშნული ვალდებულების დარღვევისას, ბანკი ქვეგამქირავებელს უხდის პირგასამტეხლოს (საურავს) გადასახდელი ქირის 0.1 % (ნული მთელი და ერთი მეათედი) პროცენტის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დარიცხვა ხდება ქირავნობის ქირის სრულ გადახდამდე.
2. ქვეგამქირავებელის მხრიდან, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის მე-10 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, რამაც გამოიწვია ბანკის მხრიდან მოსალოდნელი მოგების დაკარგვა, ან სხვა მატერიალური ზიანი, ქვეგამქირავებელი ვალდებულია სრულიად აუნაზღაუროს ბანკს თავისი ბრალით მიყენებული ზარალი, თუკი აღნიშნულთან დაკავშირებით დასაბუთებული მოთხოვნა ექნება ქვედამქმირავებელს (ბანკს).
3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, დარღვევათა აღმოფხვრის ვალდებულებისა ან ზიანის ანაზღაურებისაგან.

მუხლი 12. ქვეგამქირავებელის უფლებები

1. უფლებამოსილია შეამოწმოს ქირავნობის საგნის მდგომარეობა;
2. ქვეგამქირავებლის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებები ისე უნდა განხორციელდეს, რომ გამოირიცხოს ბანკისათვის ქირავნობის საგნით სარგებლობის ხელის შეშლა, აგრეთვე ბანკის კომერციული საიდუმლოების დარღვევა.

მუხლი 13. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

1. მხარეები ვალდებული არიან აუნაზღაურონ ერთმანეთს ზარალი, რაც გამოწვეული იქნება ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შედეგად;

ნაწილი V.
უფლებამონაცვლეობის შესახებ

მუხლი 14. მხარეთა უფლებაუნარიანობის შეწყვეტის ან შეზღუდვის შედეგები

1. მხარეთა უფლებაუნარიანობის შეწყვეტის შემთხვევაში შესაბამისი მხარის უფლებამონაცვლე (მემკვიდრე) ხდება წინამდებარე აქტით დადგენილი ქვექირავნობის ურთიერთობის მონაწილე;

ნაწილი VI.
ქირავნობის ურთიერთობის შესახებ

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა ხელმოწერის მომენტიდან, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტი კი უნდა გაფორმდეს **თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი ნებართვის აღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.**

2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება წყდება:
   ა) წინამდებარე ხელშეკრულების განსაზღვრული მოქმედების ვადის ამოწურვით;
   ბ) კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში.

მუხლი 16. ქვექირავნობის ხელშეკრულების დადების უპირატესი უფლება:

1. წინამდებარე ხელშეკრულების დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ ბანკს აქვს ქირავნობის საგნის ახალი ვადით ქვექირავნობის უფლებით მიღების უპირატესი უფლება.

მუხლი 17. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის შეწყვეტის (მოშლის) შესახებ

1. წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა (შეწყვეტა) ქვემგამქირავებელის ინიციატივით დაიშვება თუ ბანკი:
   ა) არ იხდის ქირას 2 (ორი) თვის განმავლობაში;
   ბ) გააფორმებს ქვექირავნობის ხელშეკრულებას მესამე პირთან.
2. ბანკს უფლება აქვს შეწყვიტოს წინამდებარე აქტის მოქმედება. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტა (მოშლა) ხდება 1 (ერთი) თვით ადრე ქვეგამქირავებლისთვის გაკეთებული ზეპირი ან წერილობითი შეტყობინების საფუძველზე (გამონაკლისია ამავე მუხლის მე-3 ნაწილი).
3. **იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ ფართზე თბილისის არქიტექტურის სამსახური არ გასცემს ნებართვას, ეს ხელშეკრულება ძალას კარგავს და ავტომატურად წყდება, რაც ნიშნავს იმას, რომ მომავალში მხარეებს ერთმანეთის მიმართ არ წარმოეშვებათ არანაირი ვალდებულება და დამატებით შეწყვეტის ხელშეკრულება მხარეთა შორის არ გაფორმდება.**
4. ქვეგამქირავებელს მიერ ქვექირავნობის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, ქვეგამქირავებელი ვალდებულია მოსთხოვოს ქვედამქირავებელს ქვექირავნობის საგნით სარგებლობის შეწყვეტა 90 (ოთხმოცდაათი) დღით გაკეთებული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.
5. ბანკის ინიციტიავით, ამ მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული პირობით ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, იგი თავისუფლდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 588-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

მუხლი 18. ქვექირავნობის საგნის დაბრუნება

1. წინამდებარე აქტის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია ქვექირავნობის საგანი დაუბრუნოს ქვეგამქირავებელს.
2. ბანკი ვალდებულია ქვექირავნობის საგანს თავისი ხარჯებით დაუბრუნოს პირვანდელი მდგომარეობა.
3. ბანკის საკუთრებაში არსებული საგნები (მათ შორის ბანკომატი) რჩება ბანკს.

ნაწილი VII.
დასკვნითი დებულებების შესახებ

მუხლი 19. პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებანი

1. მხარეები თავისუფლდებიან ურთიერთვალდებულებებისაგან ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობის შემთხვევაში. ამასთანავე, ფორს-მაჟორული გარემოების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას.

2. მხარე ვალდებულია, მეორე მხარეს წერილობითი ფორმით აცნობოს ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობისა და მისი შემდგომი მოქმედებების შესახებ, ასეთი გარემოებების წარმოშობიდან 72 საათის განმავლობაში.
3. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.
4. ფორს-მაჟორული გარემოებების 3 (სამი) თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან, განსაზღვრონ ხელშეკრულების გაუქმების ან მისი ფორს-მაჟორულ გარემოებებთან შემდგომი მისადაგების საკითხი.

მუხლი 20. დასკვნითი დებულებანი

1. საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წყდება მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
2. წინამდებარე ხელშეკრულება აუქმებს მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების საგანთან მიღებულ ყველა სახის შეთანხმებას, დამოუკიდებლად მისი ფორმისა.

3. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის, სამართალმემკვიდრეთათვის, წარმომადგენლისთვის, რწმუნებულისთვის, დამხმარე-მოსამსახურე და მუშაკისათვის.
4. ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ცვლილება ან/და დამატება ძალაში შედის მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და მხოლოდ წერილობითი ფორმის დაცვით.
5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლებების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.
6. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. ამ გზით ურთიერთ შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში საქმე განიხილება სასამართლოს მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკის ადგილსამყოფელის მიხედვით. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, მხარეთა შეთანხმებით, ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1^1 პუნქტის შესაბამისად.
7. ამ ხელშეკრულების ცალკეული პუნქტების გაუქმება ან ბათილობა არ იწვევს დანარჩენი პუნქტების გაუქმებას (სალვატორული მუხლი).
8. წინამდებარე აქტი შედგა ქართულ ენაზე, სამი თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა ხელმოწერები:

„ ქვედამქირავებელი”/ სს “პროკრედიტ ბანკი”

სოფიო კორძახია
ქეთევან ხუსკივაძე

„ქვეგამქირავებელი” სს “ფუდმარტი”

დირექტორი
ნინო მამისაშვილი

დანართი: 1 ფურცელი;

